საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 759/01
01/02/2021

759-01-2-202102011726

შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“

ელ. ფოსტა: Gujejiani8@gmail.com

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 31 დეკემბრის N21176 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დაბა მესტიაში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაბინძურებული წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია, სანიაღვრე სისტემისა და სალექარის მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სალექარის ზედაპირის ფართობი იქნება 1,2 მ^2, ხოლო სიღრმე 0,80 მეტრი. სალექარით გაწმენდილი წყლის ჩაშვება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ სანიაღვრე არხში, რომელიც 500 მეტრში ჩაედინება მდინარე მულხრაში. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სანიაღვრე წყლების სალექარი ვერ უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გაწმენდას, ხოლო დოკუმენტში არ არის მოცემული აღნიშნული წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებული ტექნოლოგია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გაწმენდის საკითხები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე 50 მეტრია, ხოლო საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 30 მეტრს, შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ვინაიდან სკრინინგის განცხადებაში მოცემული GPS კოორდინატებით ვერ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით საქმიანობაზე იმსჯელებს აღნიშნული

შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე